



საქართველო



საგზაბათი, 1 ივლისი 1919 წ.

რედაქციის განცხადება

მოხარობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მოიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

წელიწადი მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. წინასწარ უფლებანი 1 მან. საცაღდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო ღირებანი უთანხმოებით. გაზეთზე ხელის მოწერა მოიღება დილის 10 საათიდან დღევანდელ საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1-82.

კერძო განცხადებებზე და რეკლამებზე გადასახადის დაარსებისა

ქალაქის საბჭოს 1884 წ. მაისის 4, საცაღდებულო დადგენილების დასამატებლად უნდა იქნებოდეს შემდეგი: 1. მოწმობა ყოველგვარ კომერციულ ხასიათის განცხადებებისა, ამბებისა, მათ რიცხვში გასანათებელ და მოძრაობისა, რომელთაც განსაკუთრებული აღნიშვნა და აღვრთვე სახლის ფასადებისა და სხვაგან, შეიძლება მხოლოდ ქალაქის მართვლის ნებადართული საბჭოს მიერ დამტკიცებულ ქირის თანახმად; 2. ასეთივე უნდა იქნებოდეს ფანრები კომერციულ ხასიათის განცხადებათა და რეკლამებისა.

ქვემოთაა რეკლამა ჰქვია ყოველგვარ განცხადებას გასაცემად საქონლის შესახებ, ან გვარ მიწოდების რეკლამის, მუშტართა მისაზიდველად, ვაჭართა გვარის უბრალო ნივთი და საქონლის, ან მიწოდების ხასიათის აღნიშვნით; ყველა ის პირი, რომელთაც უნდა იქნება, ვალდებული არიან, ერთი კვირის ვადაში ამ წესების დაბეჭედიდან, შეიქმნა ქალაქის თვითმართველობაში განცხადება სახლის, გვარის, ფირმის, ბიზის, რეკლამის ან შინაარსის და რეკლამის ადგილის აღნიშვნით. აღნიშნულნი პირნი ღებულბენ ნება-ქალაქის თვითმართველობიდან სათანადო გადასახადის შეტანის შემდეგ; 4. აღნიშნულნი ვრცელდება ყველა დროებითი და პერიოდული გამოცემათა პატრონებზე, ამ გამოცემათა პატრონები კომერციულ ხასიათის განცხადებათა მიღებაში ვალდებული არიან იმ მოქალაქეთ კვრტანციები სათანადო ქალაქის მარკებით. 5. კვრტანციებ უნდა იქნებდეს მხოლოდ და მხოლოდ ყდიან წიგნადან, რომელიც უნდა იქნება და აქვს ქალაქის გამგეობის ლუქის ბეჭედი; 6. ყველა პერიოდული და დროებითი გამოცემათა, რომელნიც ღებულბენ კომერციულ ხასიათის განცხადებებს, წერილობით ატყობინებენ ტვილ. ქის გამგეობას: ა) თუ რამდენი წიგნაკი და კვრტანცია არის მათთვის საჭირო; ბ) ვის მინდობილი სააღრუსხო წიგნაკების მიღება; 7. თუ ვინმე მოათავსებს განცხადებას, ან გამოს გადასახადის შეუტანელათ, ორმაგად იხდის. გადასახადისგან თავისუფალია მთავარი და საზოგადოების დაწესებულებათა და კერძო თანამდებობის პირთა განცხადებანი. 8. საცაღდებულო დადგენილების ზედამხედველობა ევალება გადასახადთა და ვაჭრობა-ველობის აგენტებს და ქალაქის მილიციას. 9. ეს საცაღდებულო დადგენილება ძალაში იქნება მის გამოქვეყნებიდან. 10. ამ დადგენილების დამრღვენი პასუხის ვებაში იქნებიან მთელი სასჯ. ღებ. მე-29 მუხ. ძალით, გამოცემული დროებითი მთავრობის მიერ 1135 1-1.

ემთხვევით იყიდება კარგი დიდი
სტრონოვიული
ვალაზია

საჩინო ადგილას, დასარწმუნებლად შეუ-
ნთ ერთი დღე ივანკონ. უდელის ქ. № 30,
ზოვის სახლი. 857 4-1

ფრთხილური განყოფილება.

საქართველოს რესპუბლიკის
იუსტიციის მინისტრისა
№ 137.

10 ივნისი, 1919 წ.

მოთხოვნილია თანამდებობიდან:
ხმად თავისი თხოვნისა ტფილისის ოლ-
სასამართლოს პროკურორის ამხანაგი
ტანტინე მოძილევსკი 1919 წ. მაისის
6.

№ 138.

მოთხოვნილია თანამდებობიდან:
ხმად თავისი თხოვნისა ტფილისის სა-
სამართლოს პროკურორის ამხანაგი პავლე
ილიძე 1919 წლის მაისის 9-დან.

№ 139.

დაინიშნა: ტფილისის ოლქის სასამართლოს
პროკურორის ამხანაგი ქ. ტფილისის 1 სარ-
ინისგზო ნაწილის სასამართლოს ყოფილი
ანომიტიველი ალექსანდრე მარკოვის ძე რი-
მაძე 1919 წ. ივნისის 10-დან.

№ 140.

სამინისტროს კანცელარიის საერთო გან-

ყოფილების უფროსი სევერიან ფალავა გან-
თავისუფლებულ იქნას დღეიდან დირექტო-
რის თანამდებობის აღსრულებისაგან და
დაუბრუნდეს თავისი თანამდებობის აღსრუ-
ლებას.

№ 141

ავადყოფილის გამო დროებით სამსახური-
დან განთავისუფლებული სამინისტროს კან-
ცელარიის დირექტორი გიორგი ყორდანი
დღეიდან დაუბრუნდა თავისს მოვალეობის
აღსრულებას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე ვვა. ვაგაქიანი.
საქართველოს დემოკრატიულ რესპუ-
ბლიკის უმაღლეს და საშუალო სას-
წავლებლების მთავარ-გამგისა.

№ 115.

15 ივნისი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

დაშვებულნი არიან ტფილისის ქალთა მეექვ-
სე გიმნაზიაში: ეკატერინე სერგა მესხის ასუ-
ლი საანბანო ქართულ განყოფილების მასწავ-
ლებლის თანამდებობის აღმასრულებლად 1919
წლის 1 იანვრიდან.

2. თამარ ბოგდან მარკარიანცის ასული—
საანბანო სომხურ განყოფილების მასწავლებ-
ლის თანამდებობის აღმასრულებლად 1919
წლის 1 იანვრიდან.

3. დამტკიცებულია ამავე გიმნაზიაში ბუ-
ნების-მეტყველების და გეოგრაფიის შტატის
მასწავლებლად სალომე ივანე ბერეჟიანის
ასული 1919 წლის 1 იანვრიდან.

№ 116.

23 ივნისი, 1919 წ.

დაშვებულნი დროებით: ბათუმის ქართუ-

ლი გიმნაზიის ხატვა ხაზვის მასწავლებლის
თანამდებობის აღმასრულებლად ალექსანდრე
ილარიონის ძე მიქელაძე 1919 წლის 15 მარ-
ტიდან.

მთავარ-გამგე ს. დანელია.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის
სამმართველოსი.
№ 32.

20 ივნისი, 1919 წ.

გამწესებულნი: ყოფილი ფოსტა-ტელე-
გრაფის მოხელე მეორე ხარისხის ტფილისის
ტელეგრაფის კანტორის დიონისე ბარეცივი
ხელახლად ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ
მეორე ხარისხით იმავე კანტორაში 21 ივნის-
სიდან 1919 წლ.

დაინიშნულია: დროებით აღმასრულებელი
პირველი ხარისხის მოხელის ვალდებულების
უმცროსი მექანიკოსი მალალი ჯამაგირისა
ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ივანე
სტუპინი უფროსი მექანიკოსათ იმავე კანტო-
რაში განთავისუფლებით პირველი ხარისხის
მოხელის ვალდებულებისაგან 1 ივნისიდან
1919 წლ.

გადაყვანილი არიან: ფოსტალიონები სო-
ბუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის კაპი-
ტონ მათითაიშვილი და ტრიფონ ლიპარტია;
ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები მე-5 ხარის-
ხის ტარიელ კოპალეიშვილი, მე-5 ხარ. ალექ-
სანდრე ჭუბაბრია, მე-6 ხარისხის მოხელის
თანამდებობის აღმასრულებელი ილარიონ
(იგვე ილია) გაბელია, მე-6 ხარ. ველახის
ფოსტა ტელეგრაფის კანტორის ალექსანდრე
გვასალია, მე-4 ხარ. ბაქოს ტელეგრაფის კან-
ტორის კალისტრატე ფარცვენია, ტფილისის
ტელეგრაფის კანტორის მე-5 ხარისხის ვა-
სილ სოსელია; მათითაიშვილი, ლიპარტია, კო-
პალეიშვილი და ჭუბაბრია გაგრაში, გაბელია
ზუგდიდში, გვასალია, ფარცვენია და სოსელია
სოხუმში. გაბელია და კოპალეიშვილი 11 ივნ-
ისიდან, გვასალია 16 ივნისიდან, ფარცვე-
ნია, ჭუბაბრია, სოსელია, მათითაიშვილი და
ლიპარტია 21 ივნისიდან 1919 წლ.

ოლქის უფროსი მეგაძე.

ჩხორიწყუს უბნის მომრიგებელ მო-
სამართლისა.

№ 1

8 მაისი, 1919 წ.

მოქალაქე დავით ალექსანდრეს ძე შელია
დაინიშნა ჩხორიწყუს უბნის სამომრიგებლო
სასამართლოს მდივანად ამა მიმდინარე 1919
წლის 10 მაისიდან.

№ 2

მოქალაქე არტემონი გიორგის ძე ჯიანი
დაინიშნა ჩხორიწყუს უბნის სამომრიგებლო
სასამართლოს თარჯიმნად ამა მიმდინარე
1919 წ. 10 მაისიდან.

№ 3.

მოქალაქე ერასტი (იგვე გრიგორი) ვაგე-
ნის ძე გობერია დაინიშნა ჩხორიწყუს უბნის
სამომრიგებლო სასამართლოში გადაწყვერის
ალაგზე ამა მიმდინარე 1919 წლის 10 მაი-
სიდან.

№ 4.

მოქალაქე ერმინე ნიკოლოზის ძე პერტია
დაინიშნა ჩხორიწყუს უბნის სამომრიგებლო
სასამართლოში გადაწყვერის ალაგზე ამა მი-
დინარე 1919 წლის 10 მაისიდან

№ 5.

მოქალაქე თედორე ივანეს ძე შენგელია

დაინიშნა ჩხორიწყუს უბნის სამომრიგებლო
სასამართლოში მანქანზე მომუშაველ ამა
მიმდინარე 1919 წლის 10 მაისიდან.

ჩხორიწყუს უბნის მომრიგებელი მოსა-
მართლე ვ. ვაგაქიანი.

შრომის სამინისტროში.

საზღვარ გარეთ მუშების გაგზავნის-
თვის.

შრომის სამინისტროს განზრახული აქვს
შევიდეს მთავრობაში წინადადებით, რათა
გაგზავნოს საზღვარ-გარეთ მუშები, პროპე-
სიონალურ მოძრაობის და სპეციალურ პრო-
ფესიის შესაწავლათ. შრომის სამინისტრო
ამისათვის ითხოვს მთავრობისგან ერთგვარ
თანხას. მოხსენების დაწერა ამის შესახებ და
მინისტრისათვის წარდგენა დაევალა შრომის
კომისარს ელბაქიანს.

სატარიფო პალატის შესახებ.

შრომის მინისტრის ამხანაგი ერთად შევიდა
წინადადებით მთავრობაში ყველა იმ საკით-
ხის განსახილველათ, რომელიც ამ ეჟამათ
დასახა სატარიფო პალატამ. მთავრობამ თა-
ვის 17 ივნისის სხდომაზე გამოიყო კომისია
შრომის სამინისტროს, სახელმწიფო კონტრო-
ლისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომად-
გენლის შემადგენლობით. ეს კომისია უკვე
შეუდგა თამბაქოს ქარხნებში წიგნების და
ანგარიშების განხილვას და რევიზიას, რის
შემდეგ თავის მოხსენებას წარუდგენენ სატა-
რიფო პალატაში.

პენსიის შესახებ.

შრომის მინისტრის ამა. ბ. ერთად შევიდა
მთავრობაში წინადადებით, რათა რკინის გზის
მოსამსახურეებს უბედურ-შემთხვევის დროს
დასახიჩრებულთ გაედიდოს პენსიის რაოდენ-
ობა. მთავრობა ამას თავის მორიგ სხომაზე
გააჩვენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში
ექიმების კრება.

ოთხშაბათს ორ ივლისს, საღამოს 8 საათ-
ზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-
სასანიტარო განყოფილების ბინაზე (ქსენი-
ვის ქ. № 10) საქართველოს რესპუბლიკის
ექიმთა პროფესიონალური კავშირის ტფი-
ლისში მცხოვრებ წევრ-ექიმთა კრება მოწე-
ვეული.

განსახილველია საკითხები:

- 1) საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირის დელეგატთა ყრილობის მოწვევა.
- 2) ზოგიერთი ექიმების რეკლამები და სხვანაირი დაუშვებელი საქციელები.
- 3) ექიმების მიერ რამდენიმე ადგილის შეთვისება.
- 4) რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირის ტფილისის ფილიალური განყოფილების დაარსება და მისი პრეზიდენტის არჩევა.

მოხსენებას წაიკითხავს ექიმი ტურაიშვილი,
დაინიშნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დასტურით
თანახმით ფტ. ერთობა გადაწყვეტილებისა
არჩეული გარე კახეთის მცხოვრებთა მიერ
თეატრისა და ცხოვრების რედაქტორი ბ-ნი

ოსებ იმედგამომცემი დაინიშნა ზოგიერთ სა-
განგებო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომე-
რად.

ფინანსთა სამინისტროში

მთავარი საბუკოს რევიზია.

თანახმათ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველო-
ბის მინისტრის განკარგულებისა 20 ივნისი-
დან დაიწყო ტფილისის მთავარი საბუკოს და
გამგეობის რევიზია. რევიზიას ხელმძღვანე-
ლობს ფინანსთა დეპარტამენტის საბიუჯეტო
განყოფილების უფროსი ალექსანდრე იოსების
ძე კანდილაკი.

სამხარეთო სამინისტროში

ჯარისკაცთა უნივერსიტეტის გახსნა.

კვირას, 29 ივნისს, გაიხსნა ტფილისის ჯა-
რისკაცთა უნივერსიტეტი, რომლის აღსანიშ-
ნავადც 2—რე დივიზიის შტაბის ეზოში გა-
იმართა ჯარისკაცების აღლუმი. აღლუმი მი-
იღო და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა
გენერალმა სუმბათაშვილმა. სიტყვები წარმო-
სთქვეს აგრეთვე დამფუძნებელ კრების წევრ-
მა ზაქ. გურულმა, საქულტურო სექციის გამ-
გებ კაპ. ალ. გორგაძემ, სიმონ გაჩეჩილაძემ
და სხვადასხვა პარტიათა და ორგანიზაცი-
ების წარმომადგენლებმა. აღლუმის შემდეგ
ჯარმა ტფილისის მთავარ ქუჩებზე გაიარა
სატრიუმფო სვლით და ყვავილებით შორ-
თულ პლაკატით, რომელზედაც ეწერა: „გა-
შმარჯოს ჯარისკაცთა უნივერსიტეტი“.

შემოწირულება.

წერა-კითხ. გამარჯ. საზოგადოებამ კულ-
ტურულ-განმანათლებელ სექციას 200 მანე-
თის საღირალო წიგნები შესწირა.

ქურნალ „თეთრი და ცხოვრების“ როდაქ
ტორმა, იოსებ იმედგამომცემი, აღნიშნულ და-
წესებულებას შესწირა 1200 მანეთით საღი-
რალო ქურნალები, წიგნები და სურათები,
რომელნიც სამხედრო სამინ. კულტურულ გან-
მანათლებელ სექციის გამგემ კიდევ დაუგზავ-
ნა ჯარის სხვადასხვა ნაწილებში გამართულ
სამკითხველოს გამგეებს.

ლექციები ჯარის ნაწილებში.

ჯარისკაცთა უნივერსიტეტის გამგეობა აწ-
შობს ლექციებს შემდეგ ნაწილებში:

- 1-ლ რაიონში—საქართველოს ისტორი-
დან, წაიკ. სიმონ გაჩეჩილაძე ოთხშაბათს, 2
ივლისს.
- 2-რე რაიონში—სერგო ყარაოღლიანი.—„პა-
ტრიოტიზმი“, ხუთშაბათს, 3 ივლისს.
- 3-მე რაიონში, საუბარს: „სამხედრო დის-
ციპლინა“, გამართავს ალ. გორგაძე პარას-
კეფს, 4 ივლისს.
- 4-ხე რაიონში—რევოლუციის წინა—წა-
კითხავს პოლკოვნიკი ლ. ცაგარელი, შაბათს,
5 ივლისს.

ხალხის განათლებისათვის

ვიანიდან ხოლერის გაჩენა საქართველოს
რესპუბლიკის საზღვრებში მოსალოდნელი იყო
და სახლდით ავთანყოფობას გახშირება ეტყო-
ბოდა, რაც საფრთხი იყო რომ უფრო
მეტად გავრცელდებოდა, რესპუბლიკის სანი-
ტარული ნაწილის განსაკუთრებულმა რწმუნე-
ბულმა ბანა გოპაძემ მიიღო რა მხედველო-
ბაში ის გარემოება, რომ საზღვარგარეთიდან
თითქმის შეუძლებელია შემოტანილ იქნეს ამ
ავთანყოფობათან უზრუნველ საყოფად ასა-
რელი ვაქცინები, მაისის ბოლო რიცხვებში
მოიწვიდა ექიმი-ბაქტერიოლოგთა სხდომა, რა-
თა გამოერკვიათ, თუ რამდენად შესაძლებე-
ლია ხოლერისა და სახადის (მუცლის ტიფის)
საწინააღმდეგო ვაქცინების დამზადება აქ,
ტფილისში, სახელდობრ ქალაქთა კავშირისა
და სამხედრო უწყების ლაბორატორიებში,
რომელნიც უნდა ითქვას საქმით მოწყობილ-
ნი არიან.

სხდომაზე აღიარებული იქნა, რომ ხსენე-
ბული ლაბორატორიებში შეიძლება დამზად-
დეს შესაფერი თვისების და რაოდენობის
ორივე გვარი ასატრელი ვაქცინა და რადგა-
ნაც დაყოფილება შეუძლებელი იყო, დაადგინეს
ამთავითვე პირველ რიგში შეუდგენ ხოლე-
რის საწინააღმდეგო ვაქცინის მზადებას და
სახლდის (მუცლის ტიფის) საწინააღმდეგო ვაქ-
ცინის გასაკეთებლათ კი იქნეს მიღებული
საინფორმაციო ზომები.

შემდეგ გამოუშვებულ იქნა გეგმა ხსენე-
ბულ ვაქცინების გეროვანათ შემზადებისა და
წესი დამზადებული ვაქცინების შემოწმებისა;
შესდგა განსაკუთრებული რწმუნებულის მიერ
დამტკიცებული საკონტროლო კომისია, რომელ-
ნიც ვაქცინების ყოველ სერიას შეამოწმებს.
საკონტროლო კომისიის წევრები და არიან
ექიმები: ნ. ა. სახაროვი, ა. ა. ბუხარინსკი, ი.
მ. გამბურაგერ და ფარმაციის მაგისტრი
კუპცისი.

ამ მთავრობის საკანტროლო კომისიამ უკვე
დაამთავრა ყოველ მხრივად (ბაქტერიოლო-
გიურათ, ქიმიურათ, ცხოველთა და შემდეგ
ადამიანთათვის ატრით. აუტრეს ათ კაცს
მათ შორის სამ ექიმს) შემოწმება ორივე ლა-
ბორატორიის მიერ დამზადებული ხოლერის სა-
წინააღმდეგო ვაქცინისა და გამოიკვია, რომ

საქართველოს რესპუბლიკის მრობა- თა ექიმების შრილობა.

(დასასრული)

საქართველოს ექიმთა ყრილობაზე იმ რეზო-
ლიუციითა გარდა რომელიც, დღემდე ჩვენს
გახეთში დაიბეჭდა, მრავალი მეცნიერული
დასაბუთებული მოხსენებანი და დღევანდელი
ჩვენი მდგომარეობის დამახასიათებელი სიტ-
ყვები წარმოითქვა, რომელთაც საპროგრამო
ხასიათი ჰქონდა. აღსანიშნავია ექიმ ლაბაში-
ძის მოხსენება, რომელშიც მან აღნიშნა სა-
ქართველოს საექიმო-სასანიტარო მდგომარეო-
ბა და მისი კავშირი საერთო მდგომარეობას-
თან. სხვათა შორის მან თქვა, რომ საქათ-
ველოს ერთგვარი ბლოკადა აქვს გაკეთებუ-
ლი, ზღვის კარები ჩაკეტილია და საშუალე-
ბას არ გვაძლევენ, რომ სტამბოლიდან გემით
გამოგზავნილი წამლები ჩამოვიტანოთ, რის
გამოც შეუძლებელი ხდება ერობათათვის
საწყობების გახსნა; ეს მოვლენა კი საშუა-
ლებას აძლევს სტეკულიანტებს წამლების გრ-
თი ასათ გაძვირებისას. ვრცელი მისასალმე-
ბელი სიტყვა წარმოთქვა კრებაზე ყრილობ-
ბის თავმჯდომარემ გეკიმმა ლომოურმა. ჩვენ
მოვიყვანეთ მის ზოგიერთ აზრებს, რომელნიც
საფუძვლად დაედვა ყრილობის სამოქმედო
გეგმის შედგენას. „ჩვენს სამშობლოს,—სთქვა
მან,—უპირველეს ყოვლისა ესაჭიროება მკურ-
ნალური და სანიტარული ორგანიზაცია—ის
მრავალ ხელშეწყობას ახარატი, რომელიც
დაავადებულის ყოველივე ასოს, კუთხეს, ად-
გილს მისწვდება და წყლულს შეუხვევს და
ჯგოფიანათ მოუვლის, ეს გახლავთ ჩემის აზ-
რით წამლობის საფუძველი და აი სწორედ
ეს საფუძველი სუფთა, არაფერში ნარევი არ
უნდა იყოს და ამასთანავე მაგარი და მტკი-
ვე თვისებისა უნდა იყოს. ერობის ს.-ს. ორ-
განიზაციის ისეთი ექიმები-მუშაენი სჭირდება,
საჭიროებს ისეთებს, რომლებსაც კარგათა
აქეთ წარმოადგენილი, შეთვისებული ერობის
მკურნალობა. სანიტარიის დამახასიათებელი,
უმთავრესად პრინციპები—როგორცია მავა-
ლითადა—უსასყიდლოთ მოვლა და დამარება,
უფასო წამალი და სხვა. თუ ეს და სხვა ამე-
ვარი ერობის მედიცინის დებულებანი არ
იქნება განხორციელებული ჩვენს ცხოვრება-
შია—მაშინ ერობის მედიცინაზე ლაპარაკი
უნდა შევწყვიტოთ. ერობის მედიცინა-სანი-
ტარია მხოლოდ უფასო უნდა იყოს და სწო-
რეთ ამ უმთავრესი დებულებანი თანამოზიარე
მუშაენი სჭირდება და გამოადგება ჩვენს
დაავადებულ სამშობლოს.

ჩვენ არა ჩვეულებრივი ისტორიული ხანა
გვაქვს და ბევრი რამით გავსხვავდებით სხე-
ბისაგან მაგალითად—ჩვენ ვერ მოვიტხოვთ
ჩვენ ექიმებს რუსეთის ინტელიგენციის იდეა-
ლისტობას, თავისი პირადი ინტერესების
უარყოფას—როგორც ამას რუსეთის ერობის
ექიმები სჩადიოდენ—ხალხში წასვლას და თა-
ვის პირდაპირ მსხვერპლათ შეწირვას. ვერ
მოვიტხოვთ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის
ერობის ექიმების იდეალისტობას, გმირობას,
თავგანწირულებას ერთგვარი მოციქულობის,
ხმის გულისთვის ტანჯვის-ბეჭედი აზის.
ჩვენში იდეალისტობას ძალიან ცოტა ნიადა-
გი აქვს ამ მხრივ. მაგრამ ჩვენ შეგვიძლიან
მოვთხოვთ ჩვენს დარგში ყველა მომუშავეთ
რომ თუ ერობამ ისინი შეძლებისა დაგვართ-
დაკამყოფილა, მათი წმიდა მოვალეობაა უან-
კერით ემსახურონ ჩვენს დაავადებულ ხალხს.
ჩვენში ექიმობა უფრო კერძო პრაქტიკის სუ-
რვილითაა გატაცებული და საერობო მედი-
ცინის წესრიგის მიღება ძალიან ძნელდება.
დღეს სამწუხარო სინამდვილე ასეთია. მაგრამ
მომავალი უმეტესად ჩვენი ექიმობის ასეთ
ფსიხოლოგიას წინააღმდეგე შესცვლის. მაშა-
სადამე ფართე, მტკივე ს.-ს. ორგანიზაციის
შექმნა საჭირო და იმედოვანი შეგანსრულებთ
ამ საქმეს, როგორც ამას დემოკრატიისადმი
მოვალეობა გვიკარნახებს. ეს იქნება ჩვენი
საქმიანობის პირველი ნაბიჯი და მისგანა
დამოკიდებული მთელი ჩვენი საქმის ბედ-
ბალი. თუ ორგანიზაცია, მომუშავენი მაღალი
თვისებისანი იქნებიან, მაშინ მათი საქმეც მა-
ღალი ღირსებისა იქნება. ღირსება საქმისა კი
აი რაზე იქნება კიდევ დასაოკიდებული. უკუ-
ღმერთი წარსულში კულტურისა და ცივილი-
ზაციისად თითქმის მთელი მეცნიერული სიმ-
დიდრე—მონაპოვარა მხოლოდ მდიდართა და
ძლიერთა ამა ქვეყნისა ხედრი იყო. ხალხს,
მუშას მასში ან სულ არა ან ძალიან პატარა

ეს ვიკინა საცებით შეესაბამება თანამედ-
როვე მეცნიერების მოთხოვნილებებს.
საკანტროლო კომისიის მიერ დამზადებულ
ვაქცინების შემოწმებული სერიები ამ დღებში
კომისიის ეტიკეტების თანდართვით გამოშვე-
ბულ იქნება სახმარებლად. შემდეგშიდაც
ყველა სერიები ამგვარადვე იქნებიან გამო-
შვებულნი.

წილი ედო. ხალხი ს.-ს. დარგშიც მხოლოდ
ნამცეცებით კმაყოფილდებოდა. დღეს კი სუ-
ყველაფერი წალმა გადატარდა: ძალა, უფ-
ლება და კულტურის მონაპოვარიც ხალხს მი-
ენიჭა, ხალხის ნება-უფლება სუყველაფრის
პატონ-პატრონია. და აი ჩვენს დარგშიც ის,
რაც აქამდე მხოლოდ მდიდარს ეკუთვნოდა
და განსაკუთრებით ის სარგებლობდა, ჩვენ
დღეს უნდა ხალხის ცხოვრების სიღრმეში გა-
დავიტანოთ. ჩვენი მოვალეობაა მეცნიერული
მედიცინა-სანიტარიის, როგორც თეორიული
ისე პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება,
ესა თუ ის მკურნალობის სისტემა და მეთოდი
ხალხის ფართე წრეებში შევიტანოთ და ყვე-
ლაფერი ხალხს, რაც შეიძლება დაუხლოვოთ
და მეცნიერული წამლობის მიღება გაუადვი-
ლოთ. აი ასეთი ჩვენი საქმიანობით მოვაბ-
დენთ ჩვენი სპეციალობის ერთგვარ დემოკრა-
ტიზაციას ანუ განსაზოგადოებრივობას. ეს
ჩემის აზრით ერობის მკურნალობა-სანიტარიამ
ერთ უმთავრეს მიზნათ უნდა დაისახოს და
ეცადოს რაც შეიძლება ჩქარა განახორციე-
ლოს ცხოვრებაში.

ჩვენს დაავადებულს სამშობლოს თავის გა-
ჯანსაღებისთვის სჭირდება სისტემატიური,
ფართე სანიტარული კანონმდებლობა, რომე-
ლიც ძირიან-ფესვიანათ წინააღმდეგე შეც-
ვლის ახლო მომავალში ჩვენს უვიდურესათ
ანტისანიტარულ ცხოვრებას. ამ მხრივ ჩვენ
უნდა განათლებული ერობის გეზით გავწიოთ
წინ და მათი დიდი გამოცდილებით ვისარ-
გებლოთ: საჭიროა თვითმული გადამდები სე-
ნის წინააღმდეგი სავალდებულო კანონი; სა-
ჭიროა კანონის ძალით აფთიაქის საკითხის
ქაოტიურ მდგომარეობას ბოლო მოედოს და
მეაფთიაქეთა ადვირ ახსნილი „პრივილეგია“
ძველი დრო ის ნაშთი მოისპოს! ამ მხრივ
ერობის ექიმებს დიდი ინიციატივის გამოჩენა
მართება, რომ კანონმდებლობითი კერძო უნა-
რით შესაფერისი დახმარება თავიანთ დაავა-
დებულ ხალხს აღმოუჩინონ. სულ ახლო მომავ-
ლის ჩვენი საქმიანობის პროგრამა იმდენათ
დიდია, რომ მოკლე სიტყვაში ვერ აღნიშნავ
ყველა მის მუხლებს და დებულებებს.

მომავლის დღიური სინამდვილე ამ მხრივ
უფრო ბევრს რამეს გვეტყვის და აი სწორეთ
იქით უნდა მივსწავილო ჩვენი ყურადღება.
აღნიშნულ მოხსენებათა საფუძველზე მიი-
ღეს რეზოლუციები: ეპიდემიის წინააღმდეგ
საბრძოლველ ზომების, კურორტების მოწყო-
ბის და სხვათა შესახებ.
**რეზოლუცია მოსალოდნელ ხოლერის ეპი-
დემიის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების
შესახებ.**

კავკასიის ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში
ხოლერა ფაქტია. ტფილისშიც უკვე ხოლე-
რის ერთი შემთხვევა იყო ბაქტერიოლოგიურ-
რად დამტკიცებული. დღევანდელი ჩვენი
ცხოვრების უვიდურესი მდგომარეობა, ხალხის
ნახევრად სიმოლ-წყურვილით დასუსტება—
რითაც თვითმული ადამიანის სხეულს თავდა-
ცვის უნარი ესპობა, უვიდურესი სიძვირე სად
და ნაყოფიერ საქმელ-სასმელისა—რაც აუკი-
ლებლად და თავის თავად ბაზარზე ნახევრად
უვარგის და მაზარადებელ საქმელ-სასმელის
ფალსიფიკაციას ჰქმნის,—ყველა ეს გარემოება-
ნი, უმეტესად, ნაყოფიერ ნიადაგთა გაუხე-
ბიან ხოლერას, რომლის გაჩენა მიმდინარე
ზაფხულში ყოველად მოსალოდნელია და დიდ
საფრთხეს წარმოადგენს. კერძოდ ქ. ტფილი-
სი თავისი საშინელი უსუფთაობით, ავროლე-
ბული ეზოებ-მოედნებით, ნაგვით და ყოველ-
ნაირი უსუფთაობით სავსე ქუჩებით, სამარც-
ხინო წყალსადენით, კანალიზაციის უქონლო-
ბით—დღეს ხოლერის მხრივ რესპუბლიკის
დანარჩენ ქალაქებზე საფრთხე უნდა გამოი-
ხადდეს და ხაზი გაესვას იმ აზრს, რომ თუ
ახლო წარსულში იგი თითქმის მთელი რეს-
პუბლიკაზე ისპანისა და ტიფის წყაროდ გა-
დაიქცა, უმეტესად ხოლერის გაჩენის დროს
თუ ეხლავე არ იქმნა მიღებული საჭირო სა-
ნიტარული ზომები ქ. ტფილისის იმავე სამწუ-
ხარო მარაგის გამოერკვლებს როდს
ითამაშებს. მიიღოს რა ყველაფერი ეს მხედრე-
ლობაში ექიმთა ყრილობამ, დაადგინა: 1) ებ-
ლოვაში მიღებულ იქნას პროვინციაში ერობების
უბნებში საჭირო წინასწარი გასაფრთხილებე-
ლი ხოლერის საწინააღმდეგო სანიტარული
ზომები; 2) დიდ საჭიროებად ჩითვადლოს ებ-

ლავე ყველა ჩვენი ქალაქების და უბირველე-
სად ყოვლისა ქ. ტფილისის სანიტარული გა-
წმენდა და გასუფთავება; 3) სასტრუქოდ
ცნობილ იქნას ხოლერის შრატით ატრა, რაც
შეიძლება ფართე სტრუქტურებისა რადანაც
სხვა ერობის სანიტარულმა პრაქტიკამ ნათ-
ლად დაგვანახვა დიდი ნაყოფიერება და სარ-
გებლობა დასახელებულ ხოლერის წინააღმდეგ
პროფილაქტიური ზომისა; 4) მოავონოს ყრი-
ლობის პრეზიდიუმმა ვისაც უფრო არს, რომ
ხოლერის შრატის დამზადება მოთხოვნილე-
ბისდაგვარად მოეწყოს ჩვენში.

**რეზოლუცია კურორტების, მადნეულ წყლე-
ბის და ბუნების სხვა მკურნალობითი ხასი-
ათის სიმდიდრეთა შესახებ.**

საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობის
ექიმთა ყრილობამ მოისმინა ექ. აბაკელიას
მოხსენება ყრილობის საპროგრამო საკითხზე,
ერობა და ქლექთან ბრძოლა და მიიღო
ყველა ის დებულება, რომელიც დასახელებუ-
ლი იყო იმ მოხსენების დასკვნათ, რადგანაც
ქლექთან საბრძოლველ სხვა და სხვა საშუა-
ლებათა შორის უმთავრესად არის ცნობილი
ავარაკ-კურორტების მოწყობა და მათ სარგე-
ბლობა—ყრილობამ დაადგინა:

- 1) ყოველნაირი კურორტი, მნიშვნელოვანი
ავარაკი, მადნეული წყალი და სხვა ამგვარი
ბუნებრივი სიმდიდრე—მთელი რესპუბლიკის,
მთელი დემოკრატიის კუთვნილებას უნდა შე-
ადგინდეს, 2) ყოველი მნიშვნელოვანი ავარა-
კი, კურორტი და მადნეული წყალი ამა თუ
იმ მაზრაში მდებარე უნდა გადაადგილდეს მხო-
ლოდ ადგილობრივ თვითმმართველობის ხელ-
ში და თუ რომელიმე თვითმმართველობა ვერ
შესძლებს აიღოს საწარმოვით ან შესაფერი-
სათ მოაწყოს თავის მაზრაში ან ქალაქში
მდებარე ბუნებრივი სიმდიდრე—მაშინ თვით
მთავრობამ უნდა იკისროს მათი მოწყობა
წარმოება და ექსპლოატაცია, 3) იმავე დროს
ყრილობამ მოისმინა შემდეგი ცნობა: რომ
ბორჯომის წყალი სათანადო უწყებას გადაუ-
ცია საექსპლოატაციით კერძო პირისთვის,
ყოჯორის ავარაკის სახელმწიფო შენობები
იმავე უწყებას კერძო პირისთვის მიუცია
საიჯაროთა და მას კი სასტრუქულიცოთ გაუხ-
ლეა, აგრეთვე მანგლისის სასუქეთის ავარა-
კებიც კერძო საზოგადოების ხელში გადასუ-
ლა. ყრილობა ამ ცნობას მწუხარებით აღნიშ-
ნავს და აცხადებს თავის პროტესტს ჩამოთვ-
ლილი ფაქტების შესახებ. ამგვარი წესით
კერძო პირათთვის გადაცემა იმისა, რაც სა-
ხელმწიფოს საკუთრებას შეადგენს ყოველად
შეუწყნარებელია სახელმწიფოებრივ სანიტა-
რია-პროვინციის და ხალხის ჯანმრთელობის
თვალსაზრისით. კერძო ხელი, კერძო ინტე-
რესი აღნიშნულ ქონებას მხოლოდ პირად ექ-
სპლოატაციის სახათ იხდის და ხალხი კი,
რომელსაც დღეს ასე ძალიან ესაჭიროება ავა-
რაკ-კურორტებით და მადნეული წყლებით
დახმარება—წამლობა ძველებურათ რიგს გარე-
შე დარჩება და ვერას ირგებს იმ დიდი ხე-
ნებრივი სიმდიდრისაგან, რომელიც ჩვენ სამ-
შობლოს აქვს. 4) ბორჯომის წყალი და კო-
ჯორის ავარაკები დაუყოვნებლივ უნდა დაუ-
ბრუნდეს რაციონალურ ექსპლოატაციას შე-
მოსხენებულ პირობების დაცვით და კერძო
იჯარა ამ ორი მნიშვნელოვანი მამულის შე-
სახებ ეხლავე გაუქმებულ უნდა იქნას. რაც
შეეხება მანგლისის ავარაკებს (ყოფილი კა-
დეტსკი კორპუსის შენობების და სხვების) ისი-
ნი უნდა ტფილისის მაზრის ერობას დაუბ-
რუნდეს, როგორ მიუცილებებ პატრონს მაზ-
რაში.

ყრილობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ექიმი **ა. ლომოური.**

ადერბეიჯანში

გაბ. ადერბეიჯანი თავის უკანაქველ ნო-
მრის (133) მეთაურში სწერს:
„ადერბეიჯანის პარლამენტის საგანგებო
კრებაზე 27 ივნისს მოსმენილ და დადასტუ-
რებულ იქნა სამხედრო თავდაცვითი ხელშე-
რულება ადერბეიჯანსა და საქართველოს შო-
რის.
ამ ორ ერის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა
ამ ხანმოკლე რევოლუციონურ პერიოდსა
თავისუფალ განვითარების და ამ ერთა სე-
რიოზულ პოლიტიკურ განცდის შემდეგ, მს-
ლოდ ეხლა მიადწიეს იმ მდგომარეობას, რ-
მელშიაც ისინი სულ მუდამ ვაშს იმყოფებ-
დენ. ადერბეიჯანის ერი სულ მუდამ ინსტი-
ტუტით და ბუნებრივთა ქართველ ერში ყი-
ველთავე ხედავდა თავის მოკავშირეს იმ გა-
ნაწიანებ მეფის მთავრობის და რევოლუციო-
ნურ პერიოდის განმავლობაში.
ეს გრძნობა მუდამ გულწრფელი იყო და
გამოიხატებოდა ცხოვრების წყარობანშიაც კი.
ჩვენ გავსოვს თავაშეგებულ ანარქიის დღე-
ბი, დღეები რუს ეშელონათ მსვლელობისა და
სადგურების აკლებისა, როცა მასა მორჩილე-
ბას თავდახვეული, დაავადებული შეპყრობილ

ქნა მდებარე ყაჩაღურ ინსტიტუტით და ამ სტიქიურ მასას მაინც არ ავიწყებდებოდა თავისი სიმბატია ქართველ ერისადმი და ქართველი ეშელონები უფლებივ მოგზაურობდნენ მთელ ამ აზღვავეტულ ანარქიის ტალღებში. ჯერ ამ ერთ ფაქტში აღმანიანი გრძნობა იმ ღრმა ბუნებრივ ტრადიციულ მეგობრულ საძირკველს საქართველოს და ადრეობიჯანის ერებისას. ამ ერთა ხელმძღვანელებს შორის მართალია არა ერთი და ორი უთანხმოებანი მომხდარა, ბევრის აზრთა სხვა და სხვაობას ჰქონია ალავი პოლიტიკურ მსოფლმხეველობაში, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ცხოვრებამ, ისტორიულ აუცილებლობის გამო, სძლია პოლიტიკას, რომელიც დემოკრატიული ცხოვრების მოთხოვნის მასთან, როცა დადგა მომენტი მრისხანე სამკვლრო-სასიცოცხლო საფრთხისა, რომელიც ამ ერთა ფიზიკურ და პოლიტიკურ არსებობის წინ აღიმართა, როცა თავისუფალ ერთა საგმირო ბრძოლაში მოპოვებული თავისუფლებანი თხოვლობენ საგმირო ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში პირობებმა მიიყვანა საქართველოს და ადრეობიჯანის ერთი შესანიშნავი აქტამდე ამიერ-კავკასიის ისტორიაში. ამ ერთა ყველა წარმომადგენელი აქტიურად შეიკავშირეს, შეიკავშირა პარლამენტის ყველა ფრაქცია დაწყებული უკიდურეს მემარჯვენეებთან უკიდურეს მემარცხენეებამდე, რაც ერთხელ კიდევ მეტ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ადრეობიჯანსა და საქართველოს შუა დადებული ხელშეკრულება გამომხატველია ხალხის ყველა წრის ხსოვილისა. მთავრობისა და პარტიათა წარმომადგენელი. განცხადებებში და მოხსენებებში მტკიცეთ და მკაფიოთ იყო გამოხატული ის აზრი, რომ საქართველო-ადრეობიჯანურ სამხედრო თავდაცვითი კავშირი გამოწვეულია მხოლოდ გარეშე მტრებთან თავდაცვის მოტივით, მიმართულია იმ მტერთა წინააღმდეგ, რომელნიც მათ დამოუკიდებლობის მოსპობას ლაშობენ; რომ ამ წამდგელ დემოკრატიულ, ნაციონალურ რესპუბლიკებს, რომელნიც განსაზღვრული ნაციონალურ ტერიტორიებზე არიან გადაშლილნი და იმპერიულიზმის ექვს გარეშე სდგანან, არავითარი აგრესიული ზრახვანი არა აქვთ და ამ ორთა კავშირს არამც თუ განზრახვა ჰქონდა მესამე მესობელ რესპუბლიკის იზოლიაცია, პირიქით, გულითად გრძნობით მოისურვებს კავშირის შესამე წყვილად ჰყოლოდა ამიერ-კავკასიის შესამე რესპუბლიკა—სომხეთი. მხოლოდ მაშინ შეენ თამამათ შეგვეძლო ჩაგვეჯავლა განხორციელებულათ ჩვენი საერთო დიდი ხნის ოცნება—ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობა.

ამ ისტორიულ საერთაშორისო აქტებს არამც თუ მართო სამხედრო მნიშვნელობა აქვთ, არამედ ისინი აღრმავებენ ტრადიციულ მტკიცე მეგობრობას ფართე ხალხის მისის დაბალ საფეხურამდე და საერთაშორისო ბაზარზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ნამდვილ წონას სწევენ. მაღლა, რაც უტყუარია საბუთია იმის, რომ აუცილებლივ ეს გარემოება ხელს შეუწყობს სამშვიდობო კონფერენციებზე ჩვენს ბედ-იღბალის კეთილათ გადაწყვეტას.

ჩვენ ველით იმ ადრეობიჯან-საქართველოს ერთხრთ დამოკიდებულობის ახალ უკვე დამდგარ ფაზისიდან ბრწყინვალე მომავალს არა თუ მხოლოდ ამ ორი ერისათვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისათვის.

სვოლისის პოლიტახნიკუმი.

ტფილისის პოლიტახნიკულის დამაარსებელმა მთავარ კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ელიავამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენციას ვრცელი მოხსენება წარუდგინა ტფილისის პოლიტახნიკუმის შესახებ. მოხსენება შეიცავს როგორც პოლიტახნიკუმის ვრცელ ისტორიას, ასე ცნობებს პოლიტახნიკუმის დღევანდელ ნივთიერ მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი კონფერენციას სთხოვს, იკისრონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა პოლიტახნიკუმის შენახვა საერთო ხარჯით.

პოლიტახნიკუმის დაარსების ისტორია.

როგორც ვიცით, რუსეთის დროებით მთავრობის სახალხო განათლების სამინისტროს საგანგებო თათბირის დადგენილებით (1917 წლის ივლისის 11) განხორციელდა კავკასიისა და კერძოდ ტფილისის დიდიხნის ოცნება: დაარსდა ტფილისში პოლიტახნიკუმი, რომელსაც ევრეთ დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებით მდიდარ კავკასიისათვის. პოლიტახნიკუმის დაარსებას 39 წლის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1880 წელს თებერვლის 16 სტუ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა, დაეთმო უმაღლეს სასწავლებლისთვის სამყოფი საქალაქო მიწა და ამასთანავე მიეცა 1000,000 მან. შენობის ასაგებ ხარჯებისთვის. ამით არა გამოვიდა რა და საკითხმა ხმამ დი-

დანს იარა მთავრობის სხვადასხვა დაწესებულებაში სრულიად უშედეგოდ, თუმცა პოლიტახნიკუმს დახმარება აღუთქვეს კავკასიის სხვა ქალაქებმა. 1906 წელს ამ საკითხს რამდენიმე ყურადღება მიიქცა კავკასიის მეფის მომდგომელმა და ნება მისცა დაარსებულიყო პოლიტახნიკუმის მომწყობი მთავარი კომიტეტი. ამასთანავე ამ საკითხის გამო დაარსდა საგანგებო თათბირი მეფის მოადგილის საბჭოსი და მთავარ კომიტეტის წევრთაგან. მთავარ კომიტეტთან დაარსდა სპეციალური კომისიები რომელთაც სამუშაო განაწილეს. პირველ ხანათ უნივერსიტეტის დაარსება იყო განზრახული, მაგრამ შემდეგში საჭიროდ იქნა აღიარებული პოლიტახნიკუმის დაარსება. ამ საკითხმა ბოლოს რუსეთის დროებითი მთავრობამდე მიიღწია, რომელმაც 1917 წლის მაისის 6-ს კიდევ დაამტკიცა პოლიტახნიკუმის საბოლოო კანონპროექტი: ამ პროექტით ტფილისში არსდება პოლიტახნიკუმი ოთხის ფაკულტეტით: 1) სასოფლო-სამეურნეოთი, 2) ქიმიური, 3) ჰილორ მექანიკური და 4) ეკონომიური. პოლიტახნიკუმის დროებითი პრაქტიკული განყოფილება 1917 წლის ივლისის 1-დან. პოლიტახნიკუმის მოსაწყობათ ხაზინა აძლევს 1.175.700 მან. ოთხის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად სტიპენდიებისა, პირად შემადგენლობისა და სასწავლო ნაწილის ხარჯათ ხაზინა იხდის: 1917 წელს 47000 მ. 1918 წელს 185000 მ. 1919 წელს—374,000 მან., 1920 წელს—480,000 მ. ხოლო 1922 წლიდან—715,285 მან. ყოველწლიურად. პოლიტახნიკუმის შენობა აგებულ უნდა იქნას ადგილობრივის თანხით. შენობის საძირკველი მართლაც ჩაიყარა, მაგრამ მეშაობის გაგრძელება შეუძლებელი გახდა რუსეთში მომხდარ ამბების გამო. 1917 წელს მართლაც დაარსდა პოლიტახნიკუმი სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტით, 1918 წელს ეკონომიური ფაკულტეტით მოკვდა. მესამე ფაკულტეტი, ჰილორ მექანიკურის დაარსება კი შეიწყობდა და მისი დაარსება განზრახულია ამა წლის შემოდგომისთვის. პოლიტახნიკუმის უმთავრეს ნაკლს საკუთარ შენობის უქონლობა შეადგენს. პოლიტახნიკუმი მოთავსებულია სხვადასხვი დროებითა შენობაში.

პოლიტახნიკუმის ნივთიერი მდგომარეობა.

თანხმად პოლიტახნიკუმის კანონ-პროექტისა 1918 წელს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა პოლიტახნიკუმის პირად შემადგენლობისა და საერთოდ სასწავლო ნაწილის ხარჯათ ხაზინიდან გაიღო 185,000 მან.; 1919 წლისთვის, თანხმად იმავე კანონ-პროექტისა გაღებულ უნდა იქნას 374,000 მან. ყველა საჭირო ხარჯთაღრიცხვა 1919 წლისათვის მთავრობას, ისე სომხეთისა და ადრეობიჯანისას.

პოლიტახნიკუმის შენობის ხარჯათ დღემდე აღუქმულია ქალაქისაგან, კერძოდ და სხვაგან დაწესებულებათაგან და კერძოდ პირებისაგან 2.564.166 მან. 50 კ. ამათში ნაღდ ფულად აღუქმულია 2,508,666 მან. 50 კაპ., ხოლო პროცენტად ქალაქისათვის—55,500 მან. დღემდე ნამდვილად შემოსულია: 405,813 მან., ნაღდ ფულად და 164,800 მან. პროც. ქალაქისათვის. რაც შეეხება მთავარ კომიტეტის კასის საერთო მდგომარეობას ასეთია: სხვადასხვა ბანკში კომიტეტს შენახული აქვს 612,714 მან. ამათში 413,476 მან. ნაღდ ფულად აქვს შეტანილი, ხოლო 199,137 მან. პროც. ქალაქისათვის. როგორც ცნობა აღიანიშნავია, რომ ომის დაწყებამდე პოლიტახნიკუმის ყველა შენობის ასაგება ხარჯი ნავარაუდელი იყო 15,450,000 მანეთად.

რადგანაც ფული აღარ იყო დროებით შენობების მომწყობათ და სხვა საოჯახო ხარჯების გასატუმრებლით, ამიტომ მთავრობმა საპოლიტახნიკუმი კომიტეტმა 1918 წლის სექტემბრის 18 ს, თანხმად ამ კომიტეტის საფინანსო კომისიის დადგენილებისა, ერთხმად გადასწყვიტა, პოლიტახნიკუმის შესახებ ხარჯი დროებით სესხად აეღო იმ თანხიდან, რომელიც შეწირული იყო პოლიტახნიკუმის შენობის ასაგებად. ამ გადაწყვეტილების თანხმად მართლაც დაიდმოციხულ იქნა 50,000 მან. პოლიტახნიკუმის შესახებ თანხაში ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს მიერ შეწირულ თანხიდან. ამას გარდა რეკალაქის თვითმართველობამ გადასდო 1919 წელს 60,000 მანეთი. მთავარ კომიტეტის ახალ დადგენილებით 1919 წელს ინსტიტუტის შესახებ კიდევ გადმოიციხულ იქნა 100,000 მან. გოფ ვორონცოვ დაშოვის მიერ შეწირულ თანხიდან.

რაც შეეხება დღევანდელს ნივთიერ მხარეს, ასეთია: 1) ყველა სპეციალური თანხა (ლიცენციების მოსაშენი ფული, თითოზე 400 მან.) სულ დახარჯულია, 2) მთავარ კომიტეტის და ქალაქის თვითმართველობის დახმარებით,

ინსტიტუტს არსებობა შეუძლია მხოლოდ ამ წლის ივლისის 1-დე, 3) ივლისის პირველიდან წლის ბოლომდე სასწავლო და საოჯახო ხარჯის გასატუმრებლით საჭიროა არა ნაკლებ 300,000 მან. და 4) ამავე ხნის განმავლობაში სასწავლო დაწესებულებათა და დროებით შენობების მოსაწყობათ საჭიროა 300,000—დე მანეთი. ამ რიგად წლის ბოლომდე ხარჯები უდრის 600,000 მანეთს შემოსავალი კი 1919 წლის მეორე ნახევარში სულ 200,000 მან. არის მოსალოდნელი, ესეც ლექციების მოსამენ ფულადან. ამ რიგად 1919 წლის მეორე ნახევრისთვის საჭიროა გადაღება 400,000 მან. თუ გვივინდა, იარსებოს სამეურნეო (სამის კურსით), ეკონომიურმა (ორის კურსით) და საპილორ-მექანიკო ფაკულტეტმა (ერთის კურსით). 1920 წლისათვის პოლიტახნიკუმისათვის სულ საჭიროა 1.300,000 მან., შემოსავალი კი სულ არის მოსალოდნელი 730,000 მან. ამ რიგად 1920 წლისათვის საჭიროა გადაღება 570,000 მანეთისა.

დასკვნა.

ტფილისის პოლიტახნიკუმი, როგორც უმაღლესი სპეციალური სკოლა, თავის დანიშნულებით საერთაშორისო დაწესებულებაა, რომელიც უნდა ემსახუროს მთელს ამიერ-კავკასიას, თვით ჩრდილო კავკასიაც კი, ამიტომ მისი მოწყობა და შენახვა თუ ყველამ არა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა მაინც უნდა იკისრონ. რადგანაც პოლიტახნიკუმი ნივთიერად და სხვა მხრივ უზრუნველყოფილი არ არის, რომელიც გარემოებაც ბევრს მოწვეულს პროფესორს აფრთხობს, ამიტომ საჭიროა გამორკვეულ იქნას უფლებრივი ნივთიერი მდგომარეობა და ინსტიტუტისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა აღიარონ იგი საერთო სახელმწიფოებრივ დაწესებულებათ და მის შესახებ ფული გაიღონ.

ექვს გარეშეა, რომ თვითივე რესპუბლიკას ამიერ-კავკასიისას შეუძლია იქონიოს საკუთარი უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტის ტიპისა, მაგრამ ტფილისის პოლიტახნიკუმი კი როგორც ეს არის შეეცარიაში, უნდა დარჩეს ისეთ დაწესებულებათ, რომელიც სამსახურს გაუწევს მთელს ამიერ-კავკასიას.

ამიტომ საჭიროა კონფერენციამ პოლიტახნიკუმის უფლებრივი მდგომარეობა გამორკვევოს, სახელდობრ შემდეგი კითხვები: 1) პოლიტახნიკუმში მიღებენ ყველა იმ მოსწავლეს რომელნიც ვაიათებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლებს; 2) ხსენებულ რესპუბლიკების მთავრობათა მიერ დადსტურება იმ უფლებისა, რომელსაც კანონ-პროექტით ეს ინსტიტუტი ანიჭებს კურსდამთავრებულთ; 3) აღიარება ინსტიტუტის მასწავლებელთა და სხვა მოსამსახურეთა უფლებებისა და 4) მუდმივი ნივთიერი დახმარების ინსტიტუტს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთავრობათაგან იმ პროპოზიციით, რომ ამ რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენელი ჰყავდნენ მთავარ საპოლიტახნიკო კომიტეტსა და ინსტიტუტის სამეურნეო ნაწილის გამგეობაში.

უცხოეთში

(საქართველოს დემეშათა სააგენტო).

ფრანგული პრესა.

შაბათს, ნაშუადღევს 3 საათზე ვერსალის სახალხის საკიან დარბაზში საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მოკავშირე სახელმწიფოებმა და გერმანიამ. გერმანიის რწმუნებულნი მინისტრი გერმან მიულერი და ბელლი პარასკევს ღამე ჩამოვიდნენ, შაბათს დილით რწმუნებულების დამატების გასინჯვის შემდეგ, რაკი ლაპარაკიც კი მეტი იყო 400 გვერდიან ხელშეკრულების ტექსტის წაკითხვაზე, კლემანსომ კონფერენციის სახელით მათ მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნა, რომ ხელის მოსაწერად წარმოდგენილი ტექსტი იგეგმა, რაც წინადადება მათ. საფრანგეთის დელეგატთა შორის სდომამზე მარშალ ფოშიც იყო. მოწვეულთაგან ხელის მოწერის დაქსრუნენ სხვათა შორის ორივე პალატის წარმომადგენელი, ომის დროის ოთხივე კაბინეტის თავმჯდომარენი: ვივიანი, ბრინი, რიბო და პესლევე, ელზას-ლორენის საქმეთა რწმუნებულნი მილიერანი და სხ. შაბათს საღამოთი პარიზი გამარჯვების დღესასწაულად. მთავარ ქუჩებზე ანთებულ ჩიორალდებით პროცესიებმა გაიარა.

შაბათს, ნაშუადღევს დეშუტატთა პალატამ დაადგინა 4,300,000 ფრანკი გადაიღოს ივლისის 13 გამარჯვების დღესასწაულის მოსაწყობად დღესასწაულის პროგრამაში შედის ბრძოლის ველზე წასასვლელ ტანისამოსში გამოწყობილ ჯარას პარადი. ჯარს წინ გაუძღვება საფრანგეთის 3 მარშალი ფოში, ჟოფრი და პეტენი; ჯარი გაივლის ვენიუ-დე-ლაგონდ არმუელის ველს, თანახმობის მოედანს. პალე როიალს, დიდ ბულვარებს, აფენიუ და-ლა-ოპერას, რივოლის ქუჩას და შემდეგ უკან დაბრუნდება.

პარასკევს პალატამ აირჩია კომისია, რომელმაც საზავო ხელშეკრულება უნდა შეესწავლოს. კომისიაში აირჩიეს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიის კანდიდატები, მათ შორის ცხრა სოციალისტიც, ვაჰადა მ. ევრუტრესი სოციალისტთა. რომანოთა მოსტინა და მატეზიანი არჩევნები კომისიის დანარჩენი წევრებისა, კომისიაში 60 კაცი უნდა იყოს.

დეტეშებში ცნობა იყო, რომ ვითამ გერმანიის კრონპრინცი გაქცეულია და გერმანიაში შეუფარებია თავი. დე-ლი-გვიდან ოფიციალურად იუწყებიან დეტეშით, რომ ჰოლანდიის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით დანიშნულმა გამოძიებამ გამოარკვეა, რომ ყოფილი კრონპრინცი კვლავინდებურად ვიერეგენშია.

„ტან“-დაწერილებით აღწერს, თუ როგორ მოხდა ხელის მოწერა. ვერსალის სასახლე არ იყო მორთული. გერმანელების რწმუნებულები ღრამატების გასინჯვის შემდეგ 2 საათ. 45 წ. კლემანსომ დაიკავა თავმჯდომარის საფარტელი, უმთარეს მაგიდის შუაგულთან. გილსონი ჩამდგინებ წამის შემდეგ შემოვიდა. მას თავმჯავებულად მიესალმნენ. მან ხელი ჩამოართვა კლემანსოს და მთავარ რწმუნებულებს და თავმჯდომარის მარჯვენე დაჯდა. 3 ს. 10 წ. გერმანიის დელეგატები, 5 კაცი სარკიან დარბაზში შემოიყვანეს. მათ შემოსვლისას სამარისებური სიჩუმე იყო: გერმანელებმა მაგიდის ერთ-ერთ ვიწრო ბოლოში დაიკავეს მათთვის წინასწარი მომზადებული ადგილები, იაპონიის წარმომადგენელთა გვერდით.

ინგლისური პრესა.

ზარილის ანაშლაურების საკითხი ავსტრიისთვის და ყოფილ ავსტრიის იმპერიის სხვა ნაწილებისთვის თითქმის უკვე გადაწყვეტილია, როგორც გერმანელებსთვის, ისე ავსტრიისთვის ჯერ არ იქნება აღნიშნული რამდენი უნდა გადაიხადოს მან. ამისთვის დაინიშნება განსაკუთრებული მისია. ავსტრიის გაკვირვებულ ეკონომიური მდგომარეობა მხედველობაში იქნება მიღებული და ყოველ ღონეს იხმარებენ, რომ გაუადვილონ მას ფულის გადახდა. ამ ფულის ნაწილი უნდა გადახადოს სამხრეთის სლავიანებმა, როგორც ავსტრიის ნაწილმა; ზავის შეკვრამდე იქნება გამორკვეული, თუ რამდენი უნდა გადაიხადონ მათ, თუმცა ეს ქვეყნები მოკავშირებისადმი მეგობრულად არიან განწყობილნი, მაგრამ ისინი, მტრის მხარეზე აბრძოდნენ, ვადრე მონობის უღელი არ მოიშორეს.

მიუხედავათ იმისა, რომ ყოველ ექვს გარეშე გერმანელები თავის ფლოტის დაღუპვის დროს ბოროტი განზრახვებით სარგებლობდნენ ამერიკის და ინგლისის წარმომადგენლები იმ აზრისა არიან, რომ გერმანელებმა მშვიდობიანობის დამყარებას დიდი სამსახური გაუწუეს მით, რომ საფუძველი დაუდვეს შეიარაღების შემცირებას. მთელი ქვეყნის ფლოტის 1/4 ამ ორ სახელმწიფოს ეკუთვნის. გერმანელებმა მეტოქეობა დაუწყეს უფრო ადრე შექმნილ ინგლისის ფლოტს. ვიდრე გერმანიას, ან ევროპის სხვა სახელმწიფოს დიდი ფლოტი ჰქონდა საზღვაო ძალების შემცირება ბრკოლდებოდა, ამიტომ სასურველი არ იყო, რომ გემები საფრანგეთისთვის ან იტალიისთვის გადაეცათ. ის იყო მძიმე საკითხი, რომელიც ახლა გერმანიამ გადასწყვიტა.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ საფრანგეთის საზღვაო სამინისტრომ გერმანელების მიერ ფლოტის დაღუპვის შესახებ გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდება: „თუმცა ეს გემები ეხლა 20—40 მეტრის სიღრმეზეა, მაგრამ იმად არა ღირს, რომ ამ 46 გემის ამოსაღებათ დიდი ფული დაიხარჯოს. გერმანელების ფლოტის დაღუპვა დიდ ზარალს აყენებს საფრანგეთს, რომელსაც დაჰპირდნენ მოკავშირენი ამ გემების შემცირების ნაწილის გადაცემას. ინგლისიც კი აღიარებს, რომ საფრანგეთია ამ მხრივ ყველაზე მეტად დაზარალდა. ის ფლოტი, რომელიც ჩვენთვის უნდა გადმოეცათ და შესდგებოდა კრესიერებისა გან, კარგ ჯავშნოსნობისაგან და უკანსქელ ტიპის გამანადგურებლებისაგან, ჩვენ ფლოტს გადაიდებდა 1914 წლის რაოდენობამდე და მაშინ შეგვეძლებოდა ჩვენი საფრანგო ურთიერთობის დაცვა ამის შემდეგ ჩვენ უფლებამ გვექვს მოვსთხოვოთ დაღუპულ გემების ღირებულება. 1,500,000,000 ფრანკი. საფრანგეთმა მეტი ზარალის ანაშლაურება უნდა მოითხოვოს, რათა საშუალება მიეცეს ააშენოს გემები რაკ, ომის დროს არ შექმდო.“

მოსკოვი, ივნისი 29. ც. ა. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი, ივნისის 29. ჰამბურგიდან იუწყებიან, რომ აჯანყებულმა ხალხმა ხელში ჩაიგდო ამუნციის საწყობი, მთავრობის ჯარი რჩევას აძლევდა ჯარის კეთა უმეტესობას მის მხარეზე გადასულიყო. ქ. წმ. პავლეს განა-

პირა უბანში აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს დიდძალი მარაგო.

ლიონი, ივნისის 29. საფრანგეთის მწერალმა რომენ რომელანმა დღეს გამოაქვეყნა—სოციალისტური ხასიათის მანიფესტო, სადაც მოუწოდებს ყველა ინტელიგენტ-მუშაკს დააბრუნოს საერთაშორისო ორგანიზაცია პატრიოტიზმის და სეპარატიული მისწრაფებითა წინააღმდეგ საბრძოლველად. ორგანიზაციაში შედიან ამერიკის წარმომადგენლები ჯონ ადამსი, ბრიტანიის-ბერტრან რესელი, საფრანგეთის ანრი ბარისი.

ინგლისის საქმეთა პალატაში მომავალ კვირაში მოელოან არაჩვეულებრივ სხდომას ქვანახშირის მალაროების ნაციონალიზაციის საკითხის გადასაწყვეტად. საუსპორტში მიტინგზე მალაროების მუშებმა მოითხოვეს მუშათა კომისიის მიერ წარმოდგენილ ზომების დაუყოვნებლივ განხორციელება.

ლიონი, ივნისის 29. შაბათს, 3 საათზე, ვერსალის სასახლის სარკიან დარბაზში გერმანელებმა ხელი მოაწერეს ზავს.

ხელის მოწერის დროს 101 ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. გერმანელებმა ვილჰელმის და სხვა პირთა სასამართლოზე გადაცემის პროტესტი ჩააბარეს და დაუყოვნებლივ დასტოვეს დარბაზი. ჩინეთის დელეგატებმა განაცხადეს, რომ საზავო ხელშეკრულებაზე ხელს არ მოაწერენ. დღეს საღამოთი ოფიციალურ ცნობებს გამოაქვეყნებენ.

ლიონი, ივნისის 29. დეპუტატთა პალატამ ყველა პოლიტიკური წრეებიდან და მათ რიცხვში 9 მემარჯვენე სოციალისტებისაგან განსაკუთრებული კომისია აირჩია საზავო ხელშეკრულების შესახებ. მემარჯვენე სოციალისტები ლონგე და მაიერიის კომისიაში არ შევიდნენ.

გერმანული პრესა.

ბავარიის მთავრობა მცხოვრებთ სამშობლოს ეთიკურებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ გერმანიის მტრები ხელშეკრულების ზოგერთ პირობის ცხოვრებაში გატარების დამარცხების შემდეგ ეცდებიან ბავარიის სეპარატიული ხელშეკრულება წარუდგინონ, ან დაიყოლიონ გერმანიისაგან გამოყოფაზე, ბავარია არას დროს არ იქნება მოლატე ამ უდიდეს გაქვირების ხანს, არ მიატოვებს სამშობლოს. გერმანიის გადარჩენა შეუძლია მხოლოდ გერმანიის ყველა ტომის კავშირს.

ნეიტრალური პრესა კრიტიკას უკეთებს მოკავშირეთა საზავო პოლიტიკას. შეედრებო-პრესა უკმაყოფილოა იმით, რომ გერმანიამ ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას. „სხვენსკა დაგბლავი“ სწერს, რომ ზავის ჩამოგდება არ ეხება გერმანიის ღირსებას, გერმანიის ღირსების შელახვა მოწინააღმდეგეს ედება ბრალად. „სტოკჰოლმ დაგბლავი“ სწერს: „მოკავშირეებმა ძალადობა იხმარეს იმ პრინციპების წინააღმდეგ, რომლისთვისაც მათივე სიტყვით, ისინი იბრძოდნენ“.

ბრესლაუში დაწყებული რკინიგზებზე გაფიცვა მოედო სილენის და ბერლინისკენ მიმავალ ლიანდაგებს. რკინიგზებზე მოთხოვნილებს დაქმნაფილება პრუსიის ხარჯებს 3 მილიარდ მარკით გადაიდებდა. მუშები 27 წ. უფროსებისთვის მოითხოვენ დღეში 28 მარკას და 8 საათის სამუშაო დღეს, ე. ი. ჩვეულებრივი მუშა წელიწადში 9,000 მარკაზე მეტს მიიღებს. რკინის გზის სამართველოს უფროსმა აღნიშნა, რომ ამისთვის საჭირო ფული არ მოიპოვება. რამდენიმე დღით შემწყვეტილი მოლაპარაკება ივნისის 28 განახლდა. ამ ხნის განმავლობაში რადიკალურმა ელემენტებმა მუშების ასალეღვებლად გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც მუშათა ბელადებმა უსაფუძვლოდ ჩათვალეს, რადგან იგი პროგრამის ეწინააღმდეგებოდა და უნდა მომხდარიყო მათი თუ მოლაპარაკება შედეგო გამოდგებოდა. მდგომარეობას ის ართულებს, რომ ცენტრალურ გერმანიის მუშები უკმაყოფილნი არიან იმით, რომ ვოფორტში ვეინარდთან ჩამოსული ჯარი აღადგენს წესიერებას. ამან გამოიწვია გაფიცვის გამოცხადება ნიშნათ თანაგრძობისა.

ნაციონალიზაციის შესახებ მოწოდება საკონომიო საზოგადოებაში.

საზოგადო კრებამ მოისინა, რა მოხსენება გამგებობის ნაციონალიზაციის შესახებ სცნო ეს მოვლენა ამ დაწესებულებაში არა სასურველად შემდეგი მოტივებით.

1) გამოცდილ და ძველ მოსამსახურეების დათხოვნა ყველა განყოფილებიდან და კანტორიდან ეს იქნება საქმის ვნება, ვინაიდან ახალი მოსამსახურეები, როგორც საქმის არა-

მცოდნე და არა პრაქტიკა საქმეს ვერ გაუმდებია.

2) ნაციონალიზაცია, როგორც დაქარბული მოვლენა ბევრ დაწესებულებაში შეჩერებულ იქნა ვინაგან სამინისტროს განკარგულებით, რკინის გზაზედაც კი ხოლო ვატარებულ იქნა კერძოთ ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებაში: როგორც არიან სასამართლო და სახელმწიფო პალატა. 3) რაც შეეხება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებას და კერძოთ კოოპერატივებს ჯერ არსათ არ ქონია ადგილი ნაციონალიზაციას.

4) ასეთი ნაციონალიზაცია, როგორც ხასიათისა აქ არის ეწინააღმდეგება ყოველივე კრიტიკას, ვინაიდან ნაციონალიზაციის მეოხებით ქუჩაზე გამოყრა მცოდნე საჭირო საქმისათვის მოსამსახურეების მხოლოდ იმიტომ რომ ერთ-ერთ აღმინისტრატორთაგანს არ მოსწონდეს მათი ფიზიანომია, როდესაც ბევრი მათგანი ძალიან გაჭირვებას განიცდიან მატერიალურ მხრივ და თან დიდი ოჯახის პატრონიც არიან. აი იმიტომ საზოგადო კრება დაარჩენილ მოსამსახურეებისა მოითხოვეს ნაციონალიზაციის საკითხი გადაეცეს შემთანხმებელ კომისიას და საბოლოოთ გადაწყვეტამდის ახალი მიღებული მოსამსახურეები გადაყენებულ იქნენ.

ამ დადგენილების შესრულებლობის გამო აღმინისტრაციის მიერ, მოსამსახურეები 15-ივნისიდან აცხადებენ გაფიცვას, რაიც უნდა ეცნობოს კავშირს.

გაფიცვა ჯერ არ მომხდარა, ვინაიდან პროფეს. კავშირმა მიიღო სათანადო ზომები.

გილიციაში

ქუთაისის რაიონის კომისრის მოხსენებით ლამით 19—20 ივნისს 1919 წ. სოფ. მალლაკში რევოლუციის ტყვიით წინასწარ განზრახვით მოუკლავთ იმავ. სოფლის მცხოვრები ფარსადან ამირანის ძე ქორჯოლიანი. მკვლელობა ბრალდება მის შვილს ვალიკოს, რომელიც უკვე დატყვევებულია.

ტფილისის მილიციის უფროსის დადგენილებით მეორე უბნის მილიციონერი შალვა ცისეს ძე გოჯუა დათხოვნილია სამსახურიდან და 3 თვის ვადით დაპატიმრებულია.

ტფილისის მილიციის უფროსის დადგენილებით: თეოდოსე ლევანის ძე ჯაფარიძე, მ. ხ. მირმანოვი და ვ. ხ. თავთავაძე საზოგადოებრივ მყუდროების დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნენ 3 კვირის ვადით.

ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსმა ველშვესკომ მადლობა მიიღო მილიციის უფროსისაგან მომარაგების კომიტეტის საწყობში გაჩენილ ცეცხლის დროზე ლოკალიზაციისათვის.

ს ა ნ ე ს ა

1918 წ. დეკემბრის 2-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსის ნოტარიუსის მიერ ქ. სიღნაღის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში აღნიშნულია სიმტკიცის მოწმობა შედგენილი სიღნაღის ნოტარიუს ჯაფარიძის მიერ 1918 წ. ნოემბრის 11-ს, რომლითაც დიმიტრი გიორგის ძე ბეჟანაშვილმა 602 მ. დიარჩინა საჯარო ვაჭრობაზე, რომელიც მოხდა სიღნაღის მომრიგებელ განყოფილებაში 1914 წ. სექტემბრის 14-ს, მიწის ნაჭერი, ზომით: სიგრძ.—48 არ. სიგან.—22 არ., რომელიც მდებარებს ქ. სიღნაღში, ვორონცოვის ქ. მამული ეკუთვნოდა არტემ გიორგის ძე სარკი-სოფს. გადახდილია: განცხადების 1 მ. 50 კ. საკანც. და ბეჟანის 80 კ., სააქტო 3 მ. სიმტკიცის 24 მ. 8 კ. ამონაწერი 3 მ. 50 კ. ღირებულების საღებრო ქალაღზე მიცემულია. 80 1-1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს 1919 წ. აპრილის 1-ს დადგენილებით იმ ამხანაგობათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული, შეტანილია კლუბი უცხოელების წრეა. 690 1-1

1918 წ. დეკემბრის 25-ს ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნაჩქრობის წერილი, რომლითაც პეტრე სტახის ძე ლევიციკი აჩუქა გიორგი პეტრეს ძე ლევიციკის უძრავი მამული, ღირებული 18.500 მან. მამული შეიცავს მიწის ნაჭერს შენობებით, ზომით 132 ოთ. საქ. ქ. ტფილისის მე-9 უბ., ავტალის შესახვევის და მინკვიცივის ქ. კუთხეში, ქალაქის № 370. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკიცის 333 მ. მთავარი ამონაწერი 115 მ. ღირებულების საღებრო ქალაღზე მიცემულია. 106 1-1

1918 წ. დეკემბრის 25, ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ივანე მოსეს ძე ჩებანოვმა 33.000 მ. მიჰყიდა ისახარ, არონ და ილემ შალომის ძეთ პალაგაშვილებს მიწის ნაჭერი, ზომით 64 3/100 ოთ საქ., რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისში, მე-4 უბანში, უკლონი და ურიათა ბანდებში, ქალაქის № 497. გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 1 მ. 20 კ., სიმტკ. 1320 მ. მთავარი ამონაწერი 165 მ. ღირებულების საღებრო ქალ. მიცემულია. 105 1-1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ, ტფილისის ოლქ. სას. დადგენილებით, ეძებენ ქ. ტფილისის მცხოვრებს ალექსანდრე ილიას ძე ბეზირგანოვს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-377, 378, 362, 338 და 341 მუხ. თანახმათ, ნიშნები: შავგრემანი, მოგრძო პირის სახე, შავი თვალები, წვერ-უღვეშს იპარსავს, მაღალია. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ბეზირგანოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1070 1-1

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმათ, ტფილისის ოლქ. სასამ. დადგენილებით, ეძებენ ს. ნახახტევის, გორ. მახ. მცხოვრებს, ყოფილ ოფიცერს ტფილისის საყარაულო რაზმისა პორუჩიკს გიორგი ბეჟანის ძე ავალიანს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე 377, 378, 362, 338, 341 მუხლის ძალით. ნიშნები: შუათანა ტანის, წვერს იპარსავს, უღვაშები შავი, პირის სახე სუფთა, პირი და ცხვირი საშუალო, 25—27 წლის. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ავალიანი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1070 1-1

მომრიგებელი მოსამართლე ხარაგაულის უბნის, შორაპნის მახრისა, იწვევს გარდაცვალებულის 25 მაისის 1917 წ. ვლადიმერ შაქარაძის ბაჟურაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ბაჟურაძის ქონებაზე ექვსი თვის განმავლობაში, დღიდგან განცხადების დაბეჭდვისა. 1126 1-1

სოხუმის პირველი სამომრიგებლო უბნის მოსამართლე, თანახმათ 1919 წ. ივნისის 17-ს დადგენილების, სამოქ. საქ. წესლ. მე-1400 მუხ. ძალით იწვევს ექვსი თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, ხახუ ტანაპის ძე კვანტალიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კვანტალიანის ქონებაზე 1143 1-1

სოხუმის პირველი სამომრიგებლო უბნის მოსამართლე, თანახმათ 1919 წ. ივნისის დადგენილებისა, სამ. კან. წესლ. მე-1401 მუხლ. ძალით იწვევს გარდაცვალებულ რომან დავითის ძე მაჭავარიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მაჭავარიანის ქონებაზე ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 1141 1-1

ბილეთები, მიცემული სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორიდან ეგისაპეტ არუთინის ასულ ტერ-ვართანოვს სახელზე ვადიან გიორგის ძე 10 წლით 1908 წ. დეკემბრის 11-დან № 02535—1600 მან., 1909 წ. ივნისის 15-დან № 2536—1800 მან., 1909 წ. ნოემბრის 27-დან № 02537—1600 მან. და 5 წლით 1918 წ. მარტის 12-დან № 04802—3000 მ. დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. 854 3-1

ტფილისის სამხედრო ბინათა დისტანცია ამით აცხადებს, რომ დაპყარვა ოცდა თერამეტის (38) დუბლიკატი მიღებული სად. აჯამეთის უფროსისაგან შემდგენი №№ 015651, 015654, 015659, 015660, 015664, 015665, 015667, 015675, 015680, 015683, 015663, 015606, 015679, 015608, 015609, 015610, 015611, 015621, 015619, 015649, 015658, 015657, 015687, 015624, 015674, 015643, 015688, 015642, 015672, 015678, 015641, 015648, 015646, 015607, 015682, 015684, 015656, 015620., რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 1153 3-1

ქ. ტფილისის მე-21 სამომრიგებლო უბნის მოსართლე, თანახმათ 1919 წ. ივნისის 24-ს დადგენილებისა იწვევს გარდაცვალებულ აირაპეტ ასტგაცატურის ძე ტერ მანუკიანის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ტერ-მანუკიანის ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. თანახმათ. 1148 1-1

ხარაგაულის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის 16 ივნისის 1917 წ. პლატონი და სიმონი ასულის მალარაძის მემკვიდრეებს, რათა მათ ჩაითვათ თავისი უფლება მალარაძის ქონებაზე ექვსი თვის განმავლობაში დღიდგან განცხადების დაბეჭდვისა. 1126 1-1

ამაზალი გაჯიგვი აცხადებს, რომ ვეკილობა მიცემული ჩემდამი გაჯი ნაგი მიზროვეზე და დამტკიცებული ტფილ. ნოტარ. ლუკომსკის კონტრაში 1916 წ. ოქტომბრის 16-ს, რეესტრი № 5206 მამულისა და ყველა საქმეების მართვის შესახებ გაუქმებულია. 847 3-1

დაკარგულია უფადო პასპორტი, მიღებული ელისავეტრადის ქალაქის სამმართველოდან ზინოვია მარკოვის ძე ბეზუკურენკოს სახელზე. 2. მოწმობა, № 29, რომლითაც შოფერ ბეზუკურენკოს უფლება ქონდა ეტარებინა ქ. ტფილისში საბარჯო ავტომობილი მოწმობა ავტომობილით ქალაქ გარეთ გასვლისა № 29. მიღებული ტფილ. ქალაქ. მილიციიდან გაუქმებულია ითვლება. 842 3-1

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს 1919 წ. აპრილის 5-ს დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული, შეტანილია ქ. ტფილისის შოფერთა პირველი შორამის ამხანაგობა. 692 1-1

დაკარგე სურამის სამხედრო-საყვრლო სასწავლებლიდან 1916 წ. მიცემული ატლსტატი, რაიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს პეტრე ივანეს ძე აღნიაშვილი. 1134 3-1

დაკარგულია ორი უწერი ბლანკი ტყის მცველისადმი ბრძანებისათვის. მპოვნელს სთხოვენ წარმოადგინოს ისინი გორის სატყეო კანცელარიაში ქ. გორში. 1025 1-1

მარიამ ლევანის ასული მიქელაძე აცხადებს, რომ მან დაპყარვა პასპორტი № 175, მატარებელში (გორი—ტფილისი), მიღებული ბაქოს პოლცემისტრის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულია უნდა ჩაითვალოს. 858 3-1

ვალენტინა ალექსის ასული ხმელესკია აცხადებს, რომ მან დაპყარვა პასპორტი მიღებული 1918 წ. 25 მაისს, ქ. ტფილისის მილიციის სამართველოდან 3240 ნომრით, გაუქმებულად ჩაითვალოს. 831 3-1

დამზღვევი საზოგადოება „როსია“ ამით აცხადებს, რომ პოლისი № 308936, მიცემული ივანე ნიკოლოზის ძე სვანიძეზე, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. 830 3-1

დაკარგეთ 2 წიგნაკი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა კოორპორაციისა № № 146 და 713 მეღდა დამბაშიძისა და ვანდა დამბაშიძის სახელობაზე. გთხოვთ ჩასთვალეთ გაბათილებულად. 841 3-1

ვინაიდან გაზეთ „საქართველო“ რედაქტორ-გამომცემლობა გადავიდა სხვა პირზე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე სიორიძეს სახელზე ჩემ მიერ გაცემული რწმუნებულობის ქალაქის დამტკიცებულს ტფილისის ნოტარიუს მაჭავარიანთან 14 იანვარს 1919 წელს, რეესტრით № 224 ამით გაუქმებულია და რეცხად. გერონტი დიმიტროს ძე ქიქოძე. 838 3-1

გეორგი ოვანესის ძე კარაპეტიანიცი აცხადებს, რომ მან დაკარგა, მეტრიკული მოწმობა, ნოყაფილის აცრის მოწმობა, ფოსტა-ტელეგრაფის კონტროლის ატესტატი და სხვა საქმეო საბუთები. საბუთები გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 836 3-1

არქიპო ლავრენტის ძე კანდელაკი აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის პოლიტენიკუმიდან მიღებული მოწმობა № 717 რაიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 837 3-1

გორჯოჟის სახელმწიფო გულის საგვარითალო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 8 ივლისს 12 საათზე ბორჯომში მამულის სამმართველო კანტორაში მოხდება ნებრი შევიბრებით ვაჭრობა 850 ძირ ხეილიან (ვალო მსხალე, კაკალი) ხეების მოსავალზე. ხეილი ბალი თვით ბორჯომში არის და ყოველ შეიძლება დათვალეირება. 843 3-1